ხელშეკრულება N138

CPV: 73111000 - კვლევითი ლაბორატორიის მომსახურება

ქ. თბილისი 03 ნოემბერი, 2016წ

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები - ერთის მხრივ, სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი, ს/კ: 202056531, იურიდიული მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N136, საკონტაქტო ინფორმაცია: 2-95-26-71, წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ბადრიაშვილის სახით (შემდგომში - დამკვეთი) და

მეორეს მხრივ, ა(ა)იპ - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი", საიდენტიფიკაციო კოდი: 404405960, იურიდიული მისამართი: თბილისი, ბოტანიკურის ქ.N1, საკონტაქტო ინფორმაცია 2-72-43-06, - წარმოდგენელი დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1
ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N 136 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.13.08.009.075) მდებარე 1 (ერთი) ერთეული მცენარის აღწერა-შეფასება (იხ. დანართი #1).

მუხლი 2
ხელშეკრულების საფასური და ანგარიშსწორების წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფასური შეადგენს 45 (ორმოცდახუთი) ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით (იხ. დანართი #1).

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემდეგ რეკვიზიტებზე:

2.2.1 ბანკის კოდი TRESGE22;

2.2.2. სახაზინო კოდი: 741887499;

2.3 ანგარიშსწორება სრულად უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5(ხუთი) სამუშაო დღისა.

მუხლი 3
.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და
და ძალაში შესვლის პირობები

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 03 ნოემბრიდან.

3.2 ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

მუხლი 4
მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

4.1.1 მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრული და ჯეროვანი შესრულება;

4.1.2 მისთვის სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, დამკვეთს განუსაზღვროს გონივრული ვადა. ეს უკანასკნელი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ხელშეკრულების საგნის აღწერა-შეფასების სამუშაოების ჩატარების პროცესის უზრუნველყოფას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების საგნის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის გაცნობას;

4.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების საფასურის სრული ანაზღაურება.

4.2 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

4.2.1 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულების საგნის აღწერა-შეფასებისათვის საჭირო სამუშაოები და შეადგინოს შესაბამისი დასკვნა.

4.3 **დამკვეთს უფლება აქვს:**

4.3.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

4.3.2. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების საგნის აღწერა-შეფასების სამუშაოების მიმდინარეობა, სამუშაო პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე;

4.4. **დამკვეთი ვალდებულია:**

4.4.1 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება;

4.4.2. გონივრულ ვადაში მოახდინოს მიმწოდებლისათვის სამუშაო პირობების შექმნა 4.1.2. ქვეპუნქტის შესაბამისად;

4.4.3. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდგომ, გამოცხადდეს მიმწოდებელთან და ჩაიბაროს დასკვნა.

მუხლი 5
პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მიმწოდებელს მოსთხოვოს მის მიერ გადახდილი ხელშეკრულების საფასურის უკან დაბრუნება, თუ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების და პირობების შესაბამისად არ შესრულდება.

მუხლი 6
ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

6. 1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება:

6.1.1. 3.2 მუხლის პირობების შესაბამისად;

6.1.2 წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 7
ფორს - მაჟორი

მხარ(ებ)ი სრულად თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ისეთი პირობების არსებობისას, რომელიც გამოწვეულია მათი ნებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული გარემოებები შეუძლებელს ხდის ან/და ართულებს მხარ(ებ)ის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 8
სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2. მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 9

ხელშეკრულების დამატებითი პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2. სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) ფურცლად, თანაბარი ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

9.4 მხარეები აცხადებენ, რომ სრულად წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი, სრულად გაიგეს მისი შინაარსი და სრულად ეთანხმებიან მას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

დამკვეთი

თეიმურაზ ბარნაბიშვილი
სსიპ - ,,გ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის
თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის'' დირექტორი

მიმწოდებელი

თამაზ დარჩიძე
ა(ა) იპ - ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის'' დირექტორი

დანართი #1

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

#	მომსახურების დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ჯამი
1	მცენარის (დიამეტრი არაუმეტეს 8 სმ) სახეობის დადგენა	10	X	X
2	მცენარის (ღეროს დიამეტრი არანაკლებ 8სმ) სახეობის დადგენა	20	1	20
3	მცენარის დიამეტრი (არაუმეტეს 8 სმ) სიმაღლის და დიამეტრის დადგენა	5	X	X
4	მცენარის (ღეროს დიამეტრი აღემატება 8 სმ) სიმაღლის და დიამეტრის დადგენა	15	1	15
5	მცენარის ასაკის დადგენა	25	X	X
6	მცენარის მავნებელ დაავადებების დადგენა	20	X	X
7	მცენარის GPS კოორდინატების დადგენა	10	X	X
8	მცენარის მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმის შემუშავება და რეკომენდაციების მომზადება	30	X	X
9	მცენარის ზოგადი მდგომარეობის შეფასება	10	1	10
მცენარეთა რაოდენობა/მომსახურების საერთო ღირებულება			1	45
ფასდაკლება (0%)				X
სულ ჯამი (ასანაზღაურებელი თანხა):				45

დამკვეთი

თეიმურაზ ბადრიაშვილი
სსიპ - ,,ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის
თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის'' დირექტორი

მიმწოდებელი

თამაზ დარჩიძე
ა(ა) იპ - ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის'' დირექტორი